

## ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი

არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიულ პირს – „სასწავლო-კვლევით სამეცნიერო ცენტრს“ და საჯარო სამართლის იურიდიულ პირს - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტს შორის

ერთის მხრივ, არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი – „სასწავლო კვლევითი სამეცნიერო ცენტრი“ (შემდგომში „ცენტრი“) წარმოდგენილი დირექტორის, თამაზ მარსაგიშვილის სახით და მეორეს მხრივ, საჯარო სამართლის იურიდიული პირი - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი, წარმოდგენილი რექტორის, ასოცირებული პროფესორის მაკა ბერიძის სახით, ერთობლივად წოდებულნი, როგორც „მხარეები“, სარგებლობენ რა ურთიერთგაგებისა და პატივისცემის პრინციპით, გამოხატავენ ურთიერთთანამშრომლობის სურვილს და საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, თანხმდებიან შემდეგზე:

### მუხლი 1. შეთანხმების მიზანი

1. მხარეებს შორის სამეცნიერო კვლევითი პროგრამების განვითარების სფეროში თანამშრომლობის გაღრმავება;
2. სტუდენტების კვლევითი უნარების განვითარებისა და ტექნოლოგიების წარმოებაში დანერგვის ხელშეწყობა;
3. სხვადასხვა სამეცნიერო-კვლევითი პროექტების ერთობლივად განხორციელება.

### მუხლი 2. ერთობლივი პროგრამები

- 2.1. მხარეები ითანამშრომლებენ სტუდენტების და მკვლევარების მომზადების, ერთობლივი პროგრამებისა და პროექტების შემუშავებასა და განხორციელებაში (ინფორმაციის გაცვლა, მეთოდური დახმარება, ექსპერტული კონსულტაციები, კვლევების ორგანიზება, კვლევითი ინფრასტრუქტურით დახმარება და ა.შ.);
- 2.2. თითოეული მხარე გამოყოფს სათანადო დონის გამოცდილების მქონე ექსპერტებს, რათა თანამშრომლობა განახორციელდეს ეფექტიანად.
- 2.3. აღნიშნული თანამშრომლობის კონკრეტული პირობები განისაზღვრება ცენტრთან გაფორმებული ცალკე შეთანხმებით (მათ შორის დოქტორანტებთან, მკვლევარებთან და ექსპერტებთან).
- 2.4. თითოეული მხარე აღიარებს, რომ ყველა ნაბიჯი, რომელსაც მხარეები გადადგამენ წინამდებარე შეთანხმების ფარგლებში, დაემყარება კეთილსინდისიერების პრინციპს. 2.5.

თითოეული მხარის მნიშვნელოვან მატერიალურ-ტექნიკურ რესურსებს თანამშრომლები და პროექტებში ჩართული სტუდენტები გამოიყენებენ უსასყიდლოდ.

### მუხლი 3. პროგრამების განხორციელება

მემორანდუმით გათვალისწინებული ერთობლივი ღონისძიებების, აგრეთვე ცალკეული აქტივობების განხორციელებასთან დაკავშირებული საკითხები, უნდა გადაწყდეს მხარეთა შორის მოლაპარაკების და შეთანხმების გზით, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

### მუხლი 4. სხვადასხვა დებულებები

- 4.1. დაუშვებელია მოცემული მემორანდუმის რომელიმე დებულების შეცვლა, მოდიფიცირება, უარყოფა, გაუქმება ან შეწყვეტა მხარეთა წერილობითი თანხმობის გარეშე.
- 4.2. თუ დროის ნებისმიერ მონაკვეთში ამ მემორანდუმის რომელიმე დებულება მიიჩნევა ძალადაკარგულად, ეს გავლენას არ იქონიებს მემორანდუმის, როგორც მთლიანი დოკუმენტის იურიდიულ ძალასა და კანონიერებაზე.
- 4.3. წინამდებარე მემორანდუმი შედგენილია თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ორ ეგზემპლარად, ქართულ ენაზე.
- 4.4. მემორანდუმი ძალაში შედის მხარეების მიერ ხელმოწერის მომენტიდან და მოქმედებს ათი წლის ვადით. მხარეებს შეუძლიათ, ურთიერთშეთანხმებით, გააგრძელონ მემორანდუმის მოქმედების ვადა.
- 4.5. მემორანდუმის მოქმედება შეიძლება შეწყდეს ნებისმიერ დროს. მემორანდუმის შეწყვეტის ინიციატორი მხარე მემორანდუმის ვადის გასვლამდე 6 თვით ადრე წერილობით ატყობინებს მეორე მხარეს მემორანდუმის შეწყვეტის თაობაზე.

ა(ა)იპ „სასწავლო კვლევითი  
სამეცნიერო ცენტრი  
საიდენტიფიკაციო ნომერი 405276080  
მისამართი: მინდელის ქ.,  
0186, თბილისი

დირექტორი თ. მარსაგიშვილი  
ამბ.: 595190172

E-mail: tamaz.marsagishvili@gmail.com

სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო  
უნივერსიტეტი

საიდენტიფიკაციო ნომერი 424066977

მისამართი: ქ. ახალციხე, რუსთაველის ქ. N113

რექტორი, ასოცირებული პროფესორი მ. ბერიძე



24.09.2019